

საბანკო რისკების მართვის დიაგნოსტიკური სისტემის დანერგვის აუდიტულობა

თეა ჰასრათოვი, სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში ერთ-ერთ ამოცანას იმის დასაბუთება წარმოადგენს, რომ საბანკო რისკების მართვის სისტემაში საერთოეკონომიკურ კანონებზე დაფუძნებული მოდერნიზაციის პროცესი, სისტემაში საბანკო რისკების მართვის მექანიზმის ელემენტების შეტანით უნდა იქნეს შევსებული. იგი მოიცავს არსებული ვერტიკალურ-ჰორიზონტალური სისტემის გარდაქმნას ბანკების საქმიანობის რისკების მართვისადმი მაქსიმალურად ადაპტირებულ დიაგნოსტიკურ სისტემაში, რაც კომპლექსში ბანკებისა და მათი კლიენტების დანაკარგების რისკისაგან დაცულობას ამაღლებს.

საკვანძო სიტყვები: რისკ-მენეჯმენტი; ინვესტიციის ლიკვიდობის რისკი; რისიკიანი საწარმო; რისიკიანი პორტფელი; რისკისა და შემოსავლიანობის თანაფარდობა.

Summary

Business process management is a systematic approach to making an organization's workflow more effective, more efficient and more capable of adapting to an ever-changing environment. A business process is an activity or set of activities that will accomplish a specific organizational goal. The goal of business process is to reduce human error and miscommunication and focus stakeholders on the requirements of their roles. Business process management is a subset of infrastructure management, an administrative area concerned with maintaining and optimizing an organization's equipment and core operations.

Keywords: Risk-management; Investment liquidity risk; Venture company; Risk portfolio; risk / return rate off.

შესავალი

საბანკო რისკების მართვის სფეროში სამამულო ბანკების განვითარების ახალ ეტაპზე მათი სტრუქტურული და ფუნქციონალური სპეციფიკის გათვალისწინებით ასეთი მუშაობის თეორიული დასაბუთება და პრაქტიკული განხორციელება ევოლუციური, პროგრამულ-მიზნობრივი, მრავალდონიან და სარესურსო-ფაქტორულ მიდგომებს, სტრატეგიული მართვის, დაგეგმვის, რისკ-მენეჯმენტის თეორიების შეთანხმებულ გამოყენებას მოითხოვს. საბანკო რისკების მართვის სისტემის (სრმს) მოდერნიზაცია

- ტრანსფორმაციული პროცესია, რომელიც საბანკო საქმიანობის, საბანკო რისკ-მენეჯმენტის მარეგულირებელი კავშირების, ურთიერთობებისა და ინსტრუმენტების ახალი სისტემისაკენ აღმასვლაზეა მიმართული. აღნიშნული სისტემის მოდერნიზაცია შეიძლება პოზიტიურად ჩაითვალოს, თუ ის საბანკო ოპერაციების უფრო მაღალი ეფექტიანისაკენ (კერძოდ, დაბრუნებასთან მიმართებაში უიმედო კრედიტების სიდიდისა და წილის შემცირება, საპროცენტო შემოსავლების თავისდროულად და სრულად მიღება) და ბანკის ფუნქციონირებაში უფრო სოციალურად მნიშვნელოვანი პრიორიტეტებისაკენ (სამომხმარებლო კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება და დაკრედიტების პროცედურების გამარტივება) მოძრაობის ტენდენციების რეალიზებას ახდენს.

ძირითადი ტექსტი

საბანკო რისკების მართვის სისტემის (სრმს) დიაგნოსტიკური პრაქტიკაში რისკის დასაშვები დონით საბანკო გარიგებების (კლიენტებთან მომუშავე საოპერაციო, საკრედიტო, იურიდიული, ანალიტიკური, მარკეტინგული და ა. შ.) დაგეგმვაში და განხორციელებაში მონაწილე პირთა ჰორიზონტალური ქვედანაყოფების მიერ ბანკის ფულადი რესურსების მოზიდვასთან, მათი ეფექტიანად განთავსებასთან, კაპიტალიზაციასთან, ფულადი ნაკადების ზრდასთან, ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფასთან მიმართებაში სტრატეგიის, პერსპექტიული გეგმებისა და მიმდინარე დავალებების მაფორმირებელ ვერტიკალურ სტრუქტურებთანაქტიურ მონაწილეობას ახამებს. საბანკო რისკების მართვის დიაგნოსტიკური სისტემისას რისკ-მენეჯმენტის სფეროში სტრატეგიული მიზნები არა მარტო მომგებიანობის, რისკების მატერიალიზაციისას დანაკარგების მინიმიზაციისა და აქციონერების დივიდენდების ზრდის ამოცანების გადანაცვლების მეშვეობით მიიღწევა, არამედ როგორც ერთმანეთს შორის, ასევე კლიენტების მხრიდან საბანკო მომსახურებაში, ხოლო მსესხებლების მხრიდან - კრედიტებში მოთხოვნილებებთან ურთიერთდაკავშირებულობაც ხორციელდება.

რამდენადაც საბანკო რისკების მართვის დიაგნოსტიკური სისტემის მოდელი თავითვე ვერტიკალურ რეგულირებას და ჰორიზონტალურ თვითორგანიზებას ახამებს, ამიტომ ბანკის ხელმძღვანელობის მიერ რისკების მართვის პროცესის რეგულირების ძალისხმევას ვერტიკალის მიხედვით და განყოფილებების თვითორგანიზებას ჰორიზონტალურობის მიხედვით დალაგების შედეგად საბანკო რისკების მართვის სისტემის (სრმს) დიაგნოსტიკური სტრუქტურის რე-

ალურ ფორმას მივიღებთ, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რეალურ საბანკო პრაქტიკაში აღნიშნული სისტემის იდეალური დიაგნოსტური სტრუქტურის აგება საკმაოდ რთული ამოცანაა.

ამრიგად, საბანკო რისკების მართვის სისტემის (სრმს) დიაგნოსტური ადაპტირებული კონცეფცია მოიცავს შემდეგ პოზიციებს:

აღნიშნული დიაგნოსტური სისტემა მკაცრ ერთგვაროვან რეგლამენტაციას არ ექვემდებარება;

აღნიშნული დიაგნოსტური სისტემის ბანკის პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვისას წარმოქმნილ პრობლემებს მკაფიო საზღვრები არ გააჩნიათ, როგორც თვით ბანკისა და მისი კლიენტების მრავალზომიერ სივრცობრივ ფუნქციონირებასაც, და მკაცრი ფორმალური და ტრადიციული მეთოდებით მათი გადანყვეტა შეუძლებელია;

აღნიშნული დიაგნოსტური სისტემის ადაპტიურობასაბაზრო თვითორგანიზებისა და საბანკო საქმიანობის რეგულირების პირობებში უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს;

საბანკო რისკების მართვისას დიაგნოსტური პროცესებისა და მათი ჰორიზონტალურ-ვერტიკალური ფაქტორების ფორმების მრავალფეროვნება მიღებული მმართველობითი გადანყვეტილებებიდან შედეგების მკაცრ ფორმალიზაციას ვერ უზრუნველყოფენ;

კლიენტებისა და საბანკო რისკ-მენეჯერების მიერ კონკრეტული ოპერაციის რეალიზაციისას ურთიერთობების ფორმების მრავალფეროვნება საერთო კოორდინაციის ამოცანას ართულებს, მაგრამ ბანკის დანაკარგების რისკისაგან დაცვასთან მიმართებაში ნებისმიერი დიაგნოსტური სტრუქტურების შესაძლებლობებს ამალავს.

საბოლოო დიაგნოსტური შედეგი თავისთავად წარმოადგენდეს იქნება ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელშიც ვერტიკალური (უმაღლესი ხელმძღვანელობა) და ჰორიზონტალური (საშუალო რგოლის ხელმძღვანელები და რიგითი სპეციალისტები) სტრუქტურები ერთმანეთს არა იმდენად ათანასწორებენ, რამდენადაც ავსებენ, რაც ბანკის მიერ მაქსიმალური ეფექტის - დანაკარგების რისკის მინიმიზაციის მიღების შესაძლებლობის ფორმირებას ახორციელებს.

ბანკის ორგანიზაციულ სტრუქტურაში და მისი საბანკო რისკების მართვის სისტემაში (სრმს) ასეთი რადიკალური ცვლილებები საბანკო ოპერაციების გადიდების, რეზერვების ფორმირებაზე ხარჯების შემცირების, საბანკო გარიგებების ტრანსაქციული დანახარჯებისა და რისკის დონის შემცირების მოლოდინის შესაძლებლობას იძლევა. მიუხედავად ამისა საბანკო რისკების მართვის დიაგნოსტურობის პრინციპის მიხედვით პრაქტიკული დანერგვა გართულებულია იმით, რომ დიაგნოსტური საბანკო რისკების მართვის სისტემის არსებული რისკ-მენეჯმენტის საფუძველზე საგარეო გამოვლენა და შინაარსი მეტად არაერთმნიშვნელოვანია, ბევრ რამეში მრავალფეროვანია, და აღნიშნული გარემოება

საბანკო საქმიანობის მოცემულ სფეროში შემდგომი თეორიული კვლევისა და პრაქტიკული ექსპერიმენტის აუცილებლობას განაპირობებს.

მართვის დიაგნოსტურობის პრინციპის მიხედვით პრაქტიკული დანერგვა გართულებულია იმით, რომ დიაგნოსტური საბანკო რისკების მართვის სისტემის არსებული რისკ-მენეჯმენტის საფუძველზე საგარეო გამოვლენა და შინაარსი მეტად არაერთმნიშვნელოვანია, ბევრ რამეში მრავალფეროვანია, და აღნიშნული გარემოება საბანკო საქმიანობის მოცემულ სფეროში შემდგომი თეორიული კვლევისა და პრაქტიკული ექსპერიმენტის აუცილებლობას განაპირობებს.

დასკვნა

საბანკო რისკების მართვის ორგანიზაციაში აღნიშნული პრობლემები და საბანკო რისკების მართვის დიაგნოსტური სისტემის (სრმს) მოდერნიზაციისა და შექმნის გზით მათი გადანყვეტის შეთავაზებული ხერხებიშემდეგი სახის დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა:

1. შესწავლილია საბანკო საკრედიტო რისკების შეფასების ცნობილი მეთოდოლოგიები, როგორებიცაა: ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორისე. ალტმანის მოდელი; ამერიკელი მეცნიერის რ. ჩესერის მოდელი; საფრანგეთის ბანკის მიერ შემუშავებული მოდელი; ამერიკელი მეცნიერის უ. ბივერის მოდელი; რუსი მეცნიერის ს.ნ. ბაბუშკინის მიერ შეთავაზებული სანარმოს საკრედიტო რეიტინგის შეფასების მეთოდიკა; ამერიკელი ეკონომისტის დ. დიურანის ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის შეფასების სკოროინგული მეთოდი.

2. საბანკო რისკ-მენეჯმენტს მართვის არსებული სისტემის სრულყოფას, ასევე საბანკო რისკების მართვის სისტემის (სრმს) პრინციპულად ახალი ფორმების დანერგვას, მომძლავრებულ რისკებზე ადეკვატური რეაგირებაშეუძლია და შეთავაზებულიარისკის რეგულირების პრიორიტეტული მეთოდები, როგორებიცაა: ზარალის გადაფარვაზე რეზერვების შექმნა; საკუთარი კაპიტალის გაზრდა დანაკარგების გადაფარვის შემთხვევისათვის; რისკის დონის გათვალისწინებით მარჯის სხვადასხვა ტიპების სკალების გამოყენება და სხვები.

3. საბანკო რისკების მართვის სისტემის (სრმს) მოდერნიზაციის პროცესში, ბანკის საქმიანობის ვერტიკალური რეგულირებისა და ჰორიზონტალური თვითორგანიზაციის შეხამების მეშვეობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.Алексеев В.В., Шолохов В.В., Соложенцев Е.Д. Логико-вероятностное моделирование портфеля ценных бумаг с использованием копул // Управление финансовыми рисками, №3, 2006. –С. 272-283.
2. Алескеров С.А., Якуба В.И. Метод порогового агрегирования трехградационных ранжировок. // Докл. РАН. -2007. №5. – С. 88-96; №6. – С. 89-102.
3. Бортников Г.П. Экономический капитал как инструмент управления // Управление в кредитной организации. 2007. № 5. С. 65–76.
4. Д. Деклерк, В. Шибаев. Расчет экономического капитала как показатель зрелости системы управления рисками// Управление рисками, № 1(59), 2008.
5. Журавлев И.Б. Байесовский анализ операционных потерь с выбором порогового значения для оценки капитала под операционным риском // Управление финансовыми рисками. – 2008. - №3(15). – с. 244-253.
6. Журавлев И.Б. Как взвесить тяжелый хвост // Риск-менеджмент. — 2008. — №7–8(19–20). — с. 58–63.
7. Карминский А.М., Мяконьских А.В, Пересецкий А.А. Модели финансовой устойчивости // Управление финансовыми рисками. 2008. № 1.